


რედაქცია

გოლოვინის პრესვიტერი თავ. მურხან ბატონის სახლში ქულის ქვემოლ.

სეფის-მანქანა, მიიღება თბილისში «დროების» რედაქციაში, ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Вл. Тип. Лисъ, въ редакцію «Дროება»

«დროების» ფასი მთელის წლისა . . . 9 მან. სამის თვისა . . . 3 მან. ექვსის თვისა . . . 5 მან. ერთის თვისა . . . 1 მან.



ბამოლის ყოველ დღე ორშაბათს ბარდა.

შანი ბანსადევისა

სერჟონზე რვა ვაზ. განცხადება მიიღება ქარაულის, რუსულს და სხვა ენებზედ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასახეულად გამოცხადებულ წერილებს. დაუბეჭდველ წერილებს რედაქცია ვერ დაუბეჭდვს ავტორს

ცალკე ნომერი «დროებისა» ღირს 5 კაპეიკი

სეპარატი

(ქრდილოეთის სააგენტოსი.)

13 აგვისტოს.

პატივგამართლი. გუშინ მათი იმპერატორებითი დიდებულებანი იყვნენ პეტერბურგში, სადაც ხელმწიფემ ინება ნახვა სამხედრო მინისტრისა.

სამხედრო მინისტრი სამხედვარეთ მიდის საქმიანთ; დროებითი აღსრულება მინისტრის თანამდებობისა მიენდო მთავარ შტაბის უფროსს გენერალ-ადიუტანტს ობრუჩევს.

შინაგანთა საქმეთა მინისტრის კანცელიარის მმართველი ვოიკოვი სამსახურიდან დაითხოვეს და სამინისტროს სტატისტიკურ რჩევის წევრად დანიშნეს.

პარიაში. რესპუბლიკური გაზეთები პატივ-ცემით ლაპარაკობენ განსვენებული გრაფი შამბორის კეთილშობილურს ხასიათზე; მონარხულ გაზეთები შავი ზოლებით გამოვიდნენ და ჯერ არას ამბობენ ამ შემთხვევის შედეგებზე.

ჭუნაესთან მომხდარ საქმეზე ოქციონალური მოხსენება მიიღეს: 1800 ლანტუნი 14 ზანბანით გავიდა ხანოიდან დასათვალიერებლად; რაზმის მარცხენა მხარემ მთელი დღე იბრძოლა და საღამოზე დაბრუნდა უკან ხანოიში, შუამ ადებულს ადგილებზე გაატარა დაბე და დილით ხანოიში მოვიდა, მარჯვენამ დაიჭირა გამაგრებული ადგილი, რომელსაც თავს აღარ დაანებებენ. მტერმა დასცალა თავის გამაგრებული ადგილები და ზონტისკენ დაიწია.

14 აგვისტოს.

პარიაში. რესპუბლიკური გაზეთები არაფერს ვოლიტიკურს მნიშვნელობას არ აძლევენ გრაფი შამბორის სიკვდილს და ჭეშქრობენ, რომ ამ შემთხვევამ სამედიცინოდ დასცა მონარხისა და რესპუბლიკის უფრო გამაგრებისა; მონარხიული პრესა კი ამტკიცებს, რომ მომავალში მონარხიულების საქმე გამარჯვებისა და ამბობს, რომ გრაფი შამბორის სიკვდილი მტკიცედ შეაერთებს ერთად რეალისტების უკვალ დასვებსა.

«Gaulois» ამტკიცებს, რომ პარიკის გრაფი ოქციონალურად გამოაცხადებს თავის თავს საფრანგეთის ტანტის მეძიებლად.

გუშინ ვანდის და ქვემო ლაურის გენერალურმა რჩევებმა დახურეს ურილობა მგლოვიარობის ნიშნად.

პატივგამართლი. დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლოზის ძე გუშინ შვერინში წავიდა.

გუშინ დაბრუნდა სამხედვარეთიდან ზღვის სამინისტროს მმართველი.

მაღლე დაიწყო ტაძრის მენება განსვენებული იმპერატორის, ალექსანდრე II-ს მოსახსენებლად, რისგამოც კატასტროფის ადგილზედ აშენებული ნიში ეკატერინინის არხის მეორე მხარეზე გადაიტანეს.

სამხედრო მინისტრი უფრო კარგად შეიქმნა; ბიულეტენები შესწავლიეს.

«Новое Время» იწერება, რომ სენატის გარდაწყვეტილების გამო, რომელიც დაფუძნებულია 1835 წლის უმაღლეს ბრძანებაზედ, იმ ებრაელებს, რომელთაც ადამოსავლეთს ციმბირში ღვინის სახდელი ქარხანები აქვსთ, ეძლევათ გარდაწყვეტილი ვადა საქმეების დასაბოლოებლად და ქარხანების სხვის ხელში გარდასაცემად.

ლონდონი. ვარლამენტი დაიხურა შემდეგ გუშინ მიღებული სიტყვის წავითხვისა, რომელშიაც სხვათა შორის გამოცხადებულია, რომ სახელმწიფონი დათანხმდნენ დენაიზე ნავოსნობის საქმეში, საფრანგეთთანაც კეთილად დაბოლოვდება საქმე მადაგასკარის შესახებ და უჩვენებს, რომ ირლანდიაშიც დანაშაულობათარიცხვი მკირდება; ეკვიპტეს შესახებ სიტყვაში ნათქვამია, რომ იქ ამინისტრატორული დაწესებულების საქმე კარგათ მიდის, მაგრამ იმაზედ კი აღარას ამბობს—კიდევ რამდენს ხანს უნდა ეჭიროთ ეგვიპტე.

პარიაში. ოქციონალური ცნობა: საფრანგეთის ქლოტმა უმბარები დაუშინა ქორტს და ბატარეის მდინარის გუეს ნაპირთან, რომელნიც ანამის დედა-ქალაქს იკვამენ ზღვიდან; საფრანგეთის ადმირალი თანახმაა, ომი შეაჩეროს და გუეში მოსალაპარაკებლად მინდობილი კაცი გაგზავნოს; იმის გამო რომ ანამის ნაპირებს დიდი სივრცე უჭირავთ, ბლოკადა მარტო გუეს თურანზედ და წითელის მდინარის დელტაზედ იქმნება. ტულონიდან გზავნიან კონსინინში კიდევ ერთს ბატალიონს ქვეითა ჯარისას და ერთს არტილერიის ბატარეის.

ბარლინი. გუშინ ბაბელსბერგის ციხეში იმპერატორს ვილჰელმს სადილი ჰქონდა, რომელზედაც იყვნენ მიწვეულნი: მოსკოვის გე-

ნერალ-გუბერნატორი თავადი დოლოგოვოვი და რუსეთის სამხედრო წარმომადგენელი თავადი დოლოგოვოვი.

ალექსანდრია. ხოლერა შესამჩნევად სუსტდება; უკანასკნელს 24-ს საათში მთელს ეკვიპტეში 267 კაცი მოკვდა.

მანა. იმპერატორმა ნახა რემინის მეფე, რომლის პატივ-საცემადაც გუშინ სასახლეში დღესასწაულებრივი სადილი იყო.

მოსკოვი. გუშინ უირიისკენ გაიარა დიდმა მთავარმა კონსტანტინე ნიკოლოზის-ძემ.

15 აგვისტოს.

პატივგამართლი. გუშინ პეტერბურგის მხარეზე გაიხსნა ხელმწიფე იმპერატორის თანდასწრებით მეორე მარინის საქალებო სასწავლებელი.

გაზეთები გვაცნობენ, რომ კახანოვის კომისიას შეეძუებია ადგილობრივი მმართველობის წესების საფუძვლები და შესდგომა განმარტებითი წერილის ბეჭდვას.

დამტკიცებულია კრედიტი 12,000 მან. შირველ-დაწყებითი სამეურნეო სკოლების დასაარსებლათ მომავალს წელში შუა და სამხრეთ-დასავლეთის გუბერნიებში; განძრახვა აქვთ სთხოვონ ერობებს საკუთარს ხარჯით გახსნან სხელებული სასწავლებლები.

პრონობალიტი. გუშინ ჭრეგატი «Мининъ» გაემგზავრა დიდს ოკეანესკენ.

პატივგამართლი. დღეს, სამ საათზედ შუადღეს შემდეგ, მათი იმპერატორებითი დიდებულებანი უავგუსტოესი შვილებით და დიდი მთავრინა მარიამ ჰავლეს ასულით ერთ წავიდნენ იხტიით «დერჟავით» გრონშტადტიდამ კოპენგაგენში.

რომი. სახელმწიფონი დათანხმდნენ იმ წინადადებაზე, რომლითაც იტალიის სთხოვს მოახდინონ რომში კონტინენტის ხოლერადამ თავის დასაცველ საზოგადო ზომების შესამუშავებლად.

პუშკინი. ვენგრის რამდენიმე ადგილას ძრიელი უწყსოებები მოხდა ებრაელების წინააღმდეგ; დასაწყნარებლად ჯარები მოიხმარეს საქმეში; ორივე მხრივ არიან მკვდრები და დაჭრილები; გლეხები ებრაელებთან ჩხუბის დროს სალდათებსაც ეცემოდნენ.

წინაშრი ძრონიკა

«დროების» რედაქციის თითქმის ყოველ დღე მოსდის საქართველოს სხვა-და-სხვა კუთხეებიდან თანაგრძობის წერილები შესახებ სერგეი მესხის გარდაცვალებისა. წერილების ავტორები გვიცხადებენ თანაგრძობის მწუხარებას და გულწრფელად დასტირიან განსვენებულის სერგეის საფლავს. სოფელს სკანდემში, მამა ჯუღელს ზოგიერთ სოფლებების თანდასწრებით გარდაუხდია პანაშვილი სერგეის მოსახსენებლად და წარმოუთქვამს მოკლე სიტყვა, რომელშიაც მოაგონა მსმენლებს განსვენებულის მოღვაწეობა და თავ-განწირულობა მწერლობისა და ქვეყნისათვის.

აგვისტოს 8-ს სხინვალში ბლოლიჩინ მიღივს გარდაუხდია პანაშვილი სერგეის მოსახსენებლად; პანაშვილზე დასწრებია კარგა ძალი ხალხი; მიღივს წარმოუთქვამს სიტყვა, რომელსაც დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია მსმენლებზე. პანაშვილის შემდეგ იქ დამსწრე ახალგაზდობას, ბ-ნი ხიზანიშვილის თაოსნობით, გარდაუწყევტია პატარა ბიბლიოთეკის დაარსება სერგეი მესხის სახელობაზე და შესდგომა საშუალების მოპოვებას ამ კეთილ საქმისთვის; ეხლა მხოლოდ საქიროა მთავრობისაგან ნება-რთვა და მაშინ კეთილი განძრახვა განხორციელდება.

სიღნაღელ ეპარქის პირობა დაუდგიათ, რომ ნისბად აღარავის არა მისცენ რა და საქონელი სახლებში აღარ გაგზავნონ გასასყიდად. მინც ამ პირობას დაარღვევს, ჯარიმა უნდა გადაიხადოს.

მზურგეთიდან საჩივარს გვწერენ ადგილობრივ ფოსტის მმართველობაზე, რომელიც კვირა დღეს არამც თუ არ ღებულობს და არიგებს კორესპონდენციებს, არამედ მარკასაც არ გასცემს და გაზეთებს არ დაურიგებს ხოლმე ხელის-მომწერლებს. ამგვარი მოქმედება ფოსტის მმართველობისა შესაწუხებელია მხოლოდ უბრალო და ღარიბი ხალხისა, რადან განაც არის ტოკრატებთა და წარჩინებულთა არავითარა დაბრკოლება ძრეილეთა ფოსტისაგან; მათთვის უქმი დღე არ არსებობს და, როგორც გვწერენ, უქმი დღეს მათ ურიგებენ ფოსტის კორესპონდენციებს. მუეს საჩივარი საფუძვლიანია, შემოხსენებული გარემოება დიდ დანაშაულობად უნდა ჩაითვალოს მზურგეთელ ფოსტის მმართველობას, რადგანაც უქმი დღეს აღკრძალული არ არის კანონის ძალით უბრალო კორესპონდენციების მიღება და გაზეთების დარი-

გება. შოსტის წესები ერთი და იგივეა სხვა-და-სხვა წრისა და წოდების წევრთათვის. მზურგეთელ ფოსტის მმართველობას კი, როგორც სხვანაირად, დაუფიქრია ფოსტის წესდება, რაიცა მას დაუსჯელად არ უნდა ჩაუაროს.

სოფ. ამალღებიდგან (შურია) გვაცნობენ, რომ იქაური სკოლის სადგამი სიძველის გამო სრულებით უფარვისი გამხდარა სკოლისათვის და შეკეთებას მოითხოვს. სკოლის მასწავლებელს უკვე მიუმართავს თხოვნით სახალხო სკოლების დირექტორისადმი, რომელმაც დაუყოვნებლივ აცნობა ამალღების სკოლის მდგომარეობა მაზრის უფროსს, სთხოვა შემწეობა და გაუგზავნა მას სკოლის შესაკეთებლად ასი მანეთი. ბ. მაზრის უფროსმა ეს ასი მანეთი გარდასცა პოლიციის პრისტავს, ბ. ლუმაძეს, და უბრძანა მას ეს ფულები დანიშნულებისა მებრ მოეხმარა. ბ. ლუმაძეს, საკუთრად მისთვის ცნობილ მიზნების გამო, განუბრძანა რაოდენიმე საზოგადოებათა შეერთება და ერთი სკოლის დაარსება ჩოხატაურში და პირდებოდა ხალხს რომ ეს სკოლა მომავალში ოთხ კლასიან სასწავლებლად გადაკეთდებოდა და მასწავლებლებს მთავრობისაგან ჯამაგირი დაენიშნებოდა. ზოგიერთი სოფლების საზოგადოება, მათ შორის ამალღებისა, არ დათანხმებულა ბ. პრისტავის წინადადებაზე, რადგანაც ჩოხატაური მათზე ერთობ მოშორებულია; ამისათვის სოფლებს დაუმსახურებიათ «განათლების მოსარჩლე» პრისტავისაგან სახელი «**дурак**» სოფლებების უმრავლესობას ურჩენიათ თავიანთი სკოლა იქონიონ და ამისათვის არავითარ საშუალებას არ ზოგენ. ამალღების სკოლის შენობა კი დღემდის საზარელ მდგომარეობაში იმყოფება, რადგანაც ბ. პრისტავს სურს ამალღების სკოლის გარდატანა და ჩოხატაურელ მომავალ სკოლასთან შეერთება.

რუსეთი

იმ შეღავათის და მოწყალების თაობაზე, რომელიც გვირგვინის გურთხევის დროს გამოცემული მანაქსტის ძალით ზოლიტიკურ და მანაქსტებს უნდა მიენიჭოთ, იწერებან კიდევ, რომ იმ შემთხვევაში, როდესაც ეს მოწყალება აღმატება მანაქსტში ნახევენს წრეს, მაშინ შინაგან საქმეთა მინისტრს ამავე მანაქსტით უფლება აქვს, ზოგიერთ შემთხვევაში მარტო თითონ და ზოგშიც იუსტიციის მინისტრის თანხმობით, იშუამდგომლეს ხელმწიფე იმპერატორთან დამნაშავეთა ბედის შემსუბუქებაზე. ამ საქმეების განსარჩევად დადგინდეს კომისიის, რომელსაც წინადაც კვანდარკის გაზეთში მოყვანილი ცნობები, უკვე გაუჩვენია 51 საქმე და ყველა ეს შიშები სასჯელის შემსუბუქების დიხსად უცნობია.

რუსეთის საზოგადოებას ბევრჯერ ჰქონია ბაასი იმაზე, რომ ქაბრიკის, საჯადების და სხვა სასწავლებლის მუშებს მდგომარეობა უნდა გაუმჯობესდეს, კინცობას, მუშაობის გამო მუშა დამანინჯდეს, ან სხვა ისეთი რამ ზიანი მიეცეს, რომ მან მუშაობა ვეღარ შეიძლოს, მაშინ უნდა მას საცხოვრებელი მიეცეს და თუ მოკვდა მუშაობისაგან, მაშინ მის ცოლშვილსაც უნდა ჰქონდეს ცხოვრების დონისიძებო. ეს დახარჯვა დღევანდელდინ დახარჯვად რწებოდა, ვერაინ ვისრულობდა ამ საქმის დაწყებას და რაც ამ საგანზე ადმინისტრაციულ წრეებში შეტანილი პროექტები იყო, ყველა დაგვიწყებას მიეცნენ. ასეა გაზეთებიდამ ეტუბულობთ, რომ პეტერბურღში ზოგიერთა მექანიკოსს, მეზაოდეს და სასწავლებლის პატრონებს ეს ვითება ისე აღუძრათ და ცდილობენ საქმე რითე დახარჯოთ. იმათის აზრით აუცილებლად საჭიროა, რომ მუშაობისგან დაზიანებულს მუშებს და მათს ცოლშვილს მათი სიკვდილის შემდეგ ჰქონდეთ ცხოვრების რამე სასარგებო. ამისათვის ერთის მხრივ ფიქრობენ, რომ გამართონ ხელის-მოწყობა და ამ გვარად შეადგინონ თანხა ამ მუშების შესაწყობად, მეორეს მხრივ ფიქრობენ წესად დასდგან, რომ ყველა ქაბრიკებში საჯადებში და სასწავლებლებში ყოველს წესად, მუშების რიცხვის დაკვრად აზროვნენ ფული და ამ ფულიდამ კლდის სასწავლებელი დაზიანებულს მუშას და მის ცოლშვილს, თუ ის მუშაობისგან მოკვდება.

რამდენად შესაძლებელი იქნება ამ საქმის შესრულება, ამას მომავალი გვანკენებს.

სმება გაზეთებში, რომ მომავალი სამოსწავლო წლიდამ იმ სტუდენტებს, რომელნიც უმაღლეს სპეციალურს სამეურნეო სასწავლებლებში გურსის ათავებენ, გაგზავნიან რუსეთის სხვა-და-სხვა მხარეებში სამოგზაურათ თავიანთვე პროფესორების ხელმძღვანელობით. ამ მოგზაურობის მისანი იმაში მდგომარეობს, რომ სტუდენტებს გაიწვიონ სხვა-და-სხვა ჰაის და ნადგის თვისებები. ხარჯი, რაც ამ მოგზაურობებზე წავს, ისულ სასელმწიფო ქონებათა სამინისტროს უკისრია; როგორც სტუდენტებს, ეგრეთვე პროფესორებსაც უფასო ბილეთები მიეცემათ ყველა რუსეთის რეინის გზებზედ სასაინფო.

სასალო განათლების მინისტრის რეკავს სასარგებლოდ უცნობა, რომ სამინისტროს სასწავლებლების ზანსიონებში აღსრლით სარგებლობდნენ ის შეგირდები, რომლებიც უფრო დიხსნი არიან სწავლით და ყოფა-ქცევით და, იმ წყაროს გარდა, საიდანაც მათ შესანახავად ხარჯი ეძლევათ, შემდეგი წესებიც დაუდგინა; 1) ზანსიონების, საჯადო გიმნაზიების, რელიურს სასწავლებლების შეგირდებს შეუძლიანთ, თუ განსაკუთრებით პატავსადები მიზნებში რამ არ იქნება, დაჩნენ, მთელი გურსის განმავლობაში არა უმეტეს ორის მეტის წლი-

სა; და 2) ზანსიონის შეგირდები, რომელთაც კერა ღონისძიების სმარება კერა განსწავრებს, დათხოვილ უნდა იქმნან ზანსიონებიდგან არამდ თუ სამოსწავლო წლის დამლევს, არამედ წლის განმავლობაშიც.

რვა წელიწადია, რაც რუსეთში სვესტოპოლის გამაგრების პროექტი არსებობს, მაგრამ აქამდინ იმის გამაგრების შესახებ არა დაწყებულა რა. ესეა კი, როგორც გაზეთები გვაცნობენ, იქ მუშაობს, სამსედრო წარჩინებულ მიგრებისგან შემდგარი კომისია, რომელმაც დაწყებულია უნდა გამოიკვლიოს შავის ზღვის ნაპირები ალტას და ენატორის შუა იმის განსაკუბად, თუ რომელს ადგილებში უფრო ადვილია ჯარების გადმოსმვა. კომისია უმეტესად მიახურობს ყურადღებას სვესტოპოლის მდებარე ადგილებს და განსაკუთრებით იმათ გამოიკვლევს. იმ შენობების გარდა, რომელიც ესეა იქ შენდება, მომავალში კიდევ უნდა გაკეთდეს ძალიან მეიდრო და მაგარი ყანარები შავის ზღვის ევიპებისთვის, რომლებს შედგენს მომავალს წელიწადში დაწყება. ეს ყანარები იმ ზომისა უნდა იყვნენ, რომლებშიც 4000 კაცი და 300 კაცის საწოლი საჯად-მოყოფათავისუფლად მოთავსდეს. ამის გარდა, იქ კეთდეს კიდევ ერთი საკმაოდ დიდი კერძო შენობა—ბალტიის ზღვის ზავადის განყოფილება, რომელსაც მიზნად ექნება განდგენს კერძოული ორთქლის მანუბა, რომელნიც ამ ქანად სამსედრო, საჯადო და სხვა გემებზედ იმარებან.

უხროთი

საფრანგეთი. ზანეთებში მოყვანილ ცნობებიდგან სხანს, რომ წრედილი ამორჩევიების დროს რესპუბლიკელებს ისეთს ადგილებშიც გაუმარჯენიათ, რომლებშიც აქამდინ მათი მოწინააღმდეგენი ბულობდენ და სხვათა შორის მემო-პირინეში და მორსიკაშიც. ამ უქანასკენელ დეპარტამენტში რესპუბლიკელებს მარტო ერთი ხმა ჰქონდათ ხოლომე და ენლა კი უმრავლესობა ამათ მომხრეთ ამოჩნდა. ამ ქანად ყველაზე უფრო ბონაპარტიელები დამარცხდენ. მტყობა, რომ ბონაპარტიელები და მათი გავლენა უფრო-და-უფრო ტალახში ეფლებიან და, რამდენიც დრო მიდის, იმათი მნიშვნელობა მცირდება საფრანგეთში. რესპუბლიკელებს სამლელოებამ უფრო გაუჭირა საქმე და მასთან უფრო ძნელი იყო ბრძოლა. სამლელოებამ, სადაც კი უმრავლესობას შეადგენდა, დაუცხრომლოდ ცირს სწამებდა რესპუბლიკელებს და ხალხს არწუნებდა, რომ რესპუბლიკის მმართველობა მლელოებს და მოწყალეების დებს სდევნისო, მაგრამ ამითივეერას განდენ-რა და ბოლოს მაინც

რესპუბლიკელები დარჩნენ გამარჯვებულით თითქმის იმ ადგილებშიც, სადაც მათი მოწინააღმდეგე დასები აქამდინ მარად იყენენ. მლა ეჭვი აღარავისა აქვს იმაში, რომ საფრანგეთის პრაქტიკული და კანონიერი რესპუბლიკა, რაც დროება მიდის, იმდენი უფრო-და-უფრო მტკიცე საფუძველზე მყარდება და იმას ვეღარც მონარხიელები და ვეღარც სხვა მისი დაუძინებელი მტრები ვეღარ შეარყივენ.

ზანეთები გვატყობინებენ—ხმებიან, რომ ამ ქანად მესტორას და ბერმანის მოლაპარაკება აქვს ერთმანეთ შორის ბონსის და ჰერტოკოვიტის აესტორის სამფლობელოებთან სამუდამო შეერთებაზე.

ზანსხალგანი

ა. ბირზაშვილის რეპეტიციის და მოსამზადებელი კლასები აცხადებენ, რომ მიღება მოწინავეების იწყობა 22 აგვისტოდამ და სწავლა პირველს სექტემბრიდამ. აღრესი: ბრიგოლ სოლომონისძის პბესლო-მოვის სახლებში, მზამესტენის ქუჩაზედ, ეგზარხის მოედანის მახლობლად. იგენ იტელებ (20—2)

თილისის ძალაშის ბაგამოკა სთხოვს ტრაქტორების, საქმელსასმლის დუქნების და საქირავებელ ეზოების პატრონებს თილისში გამოცხადდენ დილის ათ საათზედ ქალქის რეიის ზალაში პირველნი, ამ წლის 5-სა და უქანასკენელი 7-ს სექტემბერს ამოსარჩეველად თავიანთ შორის დეპუტატებისა, რომელთაც მომავლის ოთხის წლისათვის აქციზი უნდა გაანაწილონ თანხმად 22 და 56 მუხლისა ტრაქტორებზედ წესდებულებისა. (3—3)

ინგლისის ვალაზი
Maison de confiance
შუადარო ჩენი ჩაი მოსკოვის ჩაის
1 3. 10 1 3. 40
— 1—20 — 1—60
— 1—40 — 1—80
— 1—60 — 2—
— 1—80 — 2—50
საუკეთესო 2 — — 3 —
იქვე ისუიდება სხვა საქანელები: თოფები, რეკოლეგები, კრავოტები, ჭურჭლები, ჩაიდნები, გასალებები, დახები, გოგზები, ტაშტები, კალმები, ქალაღი, მოკოლადი, კაკაო, კანფეტები, მურაბები, მაგნეზია, უნაგირები, გლეონკა, წინდები—ცაცის და ქალის, ხელ-სასოცები, მაკინტოშის კალენგორი—სულ ყველაფერი 25-დამ 50 პროცენტით უფრო იაფად, ვიდრე სხვა რომელსაქე მადანაში.
ვინც ქალქს გარკდამ 25 მანეთიდამ 1,000 მანეთამდინ საქანელს გამოიწერს, განსაკუბანს არაფერს არ ისდას. (100—21)